

მთაწმინდა

ფასი 1 მან.

გაზეთი ღირს 1 მანეთი. მისი მანეთი, ციხეში ნომერი ყველგან 1 მანეთი. ციხეში ნომერი სი როგორც პირველ გვერდზე, ისე მეორეზე პეტრის სტრიქონი—2 მან. სასაქონლო განუხადება 40 მანეთი. ნისია განუხადებები არ დაინებდება. რედაქციისა და კანტორის ადრესი: თფილისი, გოლოვინის პირისპ. № 24.

ტელეფონი 16-62.

გაზეთის მფლობელი: სოციალ-დემოკრატიული რევოლუციური პარტიის ცენტრალური კომიტეტი.

მეფულე მარიამ იოსების ასული, ძმები: მღვდელი ზაქარია და დავით ხვადაძე-ძმები; დები: სოფიო ლაბაძისა და ეკატერინე თათარაძისა აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობებთ, რომ სამშაბათს, 26 აგვისტოს ქ. გორში ოქონის მღვთისმშობლის ეკლესიაში იქნება გადახდილი წლის წირვა და პანაშვი. მათთვის ძვირფასის

გიორგი ზავლას კე ხვადაძის

სულის მოსახსენებლად.

ღრმად დამწუხრებულნი მამა ბებური. მაქსიმეს ძე კეკელი, დედა სადიკო, ძმები: ვლადიმერი და სერგო, დები: ვესა, პელაგი და ნინო, რძალი პაპა, სიძეები: მიხეილ გორგაძე და მელიტონ ხუნდაძე ამით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ხუთშაბათს, 28 აგვისტოს, დილის 10 საათ. გადახდილ იქნება წლის თავის პანაშვიდი დაუვიწყარ

სიომონ გეგუჩის კე ჭკუასალის

სულის მოსახსენებლად საგვარეულო ეკლესიაში ს. კალაგონში (გურია).

ფოთის ფოსტა ტელეგრაფისა და ტელეფონის კანტორის მოსამსახურეები მწუხარებით აუწყებენ ამხანაგებს, რომ 22 ამა აგვისტოს შეცრად გარდაიცვალა თანამოსამსახურე და საუკეთესო ამხანაგი

სიომონ მიხაილის კე ქავუარაქა

დაკრძალვა 24 აგვისტოს, ნაშუადღევს 4 საათზე.

ხაშურის რეინის გზის მუშათა კლუბი
კვირას, 24 აგვისტოს, მუშათა ურნალის „პროლეტარის“ სახარებლოთ გაიმართება

პროლეტარული საღამო

მონაწილეობას მიიღებენ: ნ. გოციჩიძე, რ. ჯიბილა, დ. თურდოსპირელი, ვ. რუხაძე, ოზონი მუშა, დ. მეჩინგუჯე და სხვ. (3-3)

ახალი წიგნი—იხილავა ყველა წიგნის მალაჩიანში
გალაქტიონ ტაბიძე:
ლიქსები (1914-1919)
მსურველთ წიგნი გადაეგზავნება პროვინციაში. წიგნი უნდა მოითხოვონ შედეგი მისამართით: თფილისი, გზ. „ერთობა“.

სომხეთის მდგომარეობა

სომხეთის მდგომარეობა დღეს თითქმის უნდა ვთქვათ. მისი რამოდენიმე პროვინცია ეროვნული ბრძოლის ალშია გახვეული. ამ პროვინციების სომეხ-მცხოვრებლებს უკვე დიდი მსხვერპლი გააწვიეს აჯანყებულმა და შემოსეულმა მუსლიმანებმა.

კვლავ აწიოკება და განადგურება, კვლავ ლტოლვილები, კვლავ შიმშილის მილოდინი: უკანასკნელ დრომდე სომხეთის მთავრობამ ვერ შესძლო აჯანყებულთა და შემოსეულთა ილაგმვა. აჯანყებულები თითქმის დედაქალაქს მოსდგომიან. ამავე დროს, რუსეთის სომხეთში, მოსახლეობა ოსმალეთის პროვინციებში დიდი მღვდელარებაა. არის ცნობა, რომ არზრუმის რაიონში თურქებს ჯარები ჰყავთ დაგროვილი. ამ პროვინციებიდან უკვე თავს ესხმიან სომხეთს მუსლიმანთა ბრძოლები, მოსლოდნელია ოსმალის ჯარიც დაიძრას სომხეთისაკენ.

ამინართ შეგნით დაუცხრობელი აჯანყება, ბოცვა ქლეტა, აწიოკება, გარედან—სამხედრო საფრთხე ოსმალეთის შემოსევისა.

ერევნის ერთი სომხური გაზეთი ამგვარათ ახასიათებს არარატის რესპუბლიკის დღევანდელ მდგომარეობას:

„უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში ჩვენ წილად გვხვდა ლტოლვილთა ბედი, აწიოკება, სიკვდილი, სისხლი, ცრემლები, შიმშილი, ბოცვა-ქლეტა, საშინელება. მართალია, სამშობლო ყოფილა სიკვდილის მოლოდინში, განუცდია საშინელი წუთები. მაგრამ ყოველივე ამას ჩრდილავს დღევანდელი საშინელება“.

და ეს მართალიც არის. განვიხილოთ ვაჭირების დროს სომხის ხალხს და მის ხელმძღვანელებს იმედი მისინე ჰქონდათ,

რომ ადრე თუ გვიან ოსმალეთი დამარცხდებოდა და ეს დამარცხება დასაწყისი იქნებოდა სომხეთის აყვავების. ეს იმედი ასულ-დამფულებდა სომხის ხალხს.

მ თვე გავიდა მას შემდეგ, რაც ოსმალეთი დამარცხებულია. ცხრა თვე გავიდა მას შემდეგ, რაც მთელი ქვეყანა თითქოს იმით განკარგულაში უნდა იყოს, ვისიც იმედი ჰქონდა სომხეთს და მის ხელმძღვანელებს. სომხეთი ისევე უფსკრულის პირას სდგას და შევლა, დახმარება კი არსაიდან სჩანს.

ეხლა სომხეთის ხელმძღვანელები თითქოს გრძობენ და მიზნდარან, რომ დამღუპელია პატარა ერისათვის მთელი თავისი იმედების გარეშე ძალაზე დაჰყარება. იგივე გაზეთი, რომლის აზრი ჩვენ ზევით მოვიყვანეთ, სწერს: „ჩვენ ვდღესასწაულობდით მოკავშირეების გამარჯვებას; ამ გამარჯვებაში ვხედავდით ჩვენს ხსნას. ეხლა უნდა გამოვტყდეთ, რომ ეს მოლოდინი გაგვიცრუვდა... არ არის ჩვენი თავის არც მეგობარი, არც მოკავშირე, არც დახმარება გარედან“—ო.

სამწუხაროთ, ესეც სრული სიმართლეა. საქმე იმაში კი არ არის, ჰსურთ თუ არა მოკავშირეებს დაეხმარონ სომხეთს; საქმე იმაშია, რომ მოკავშირეები მოკლებული არიან შეძლებას ამ სახედისწერო მომენტში იარაღის საშუალებით დაიცონ და დაიფარონ სომხის ხალხი.

ასეთია სომხეთის მდგომარეობა დღეს. და ჩვენი მეზობელი ხალხის ასეთი უმწურო და უნდგეო მდგომარეობა დამაფიქრებელი და სამწუხაროა არა მარტო მისთვის, არამედ—მისი მეზობლებისათვის და უპირველესათ ქართველ ხალხისათვის. ვინაიდან ჩვენ კარგად გვესმის, რომ ამიერ-კავკასიაში ერთირომელმე ერის თავისუფლების დახშობა მოასწავებს სხვა ერების მონობის დასაწყისს.

სომხეთის თავისუფლების მოსპობა, მისი განადგურება გარდაუვალ დაბრკოლებებს შექმნის ჩვენი თავისუფლების შენარჩუნების, ჩვენი ეროვნული თავდაცვის საქმეში.

სომხეთის უბედურება—ჩვენი უბედურებაა, სომხეთზე მოვლინებული საფრთხე—ჩვენი საფრთხეა. ამიტომ ჩვენ გვალწურფლად გვსურს რაც შეიძლება მალე აიცილოს სომხის ერმა ეს საფრთხე.

შესაძლებელია კი ეს? არის რაიმე გამოსავალი დღევანდელ უმწურო მდგომარეობიდან? ვიმეორებთ, მდგომარეობა თითქმის უნდგეოა, მაგრამ ჩვენ გვწამს, რომ გამოსავალი გზა მისინე მოიძებნება.

როგორ ისახება ეს გამოსავალი გზა თვით სომხის ერის ხელმძღვანელების თვალში? მწარე გამოცდილებამ გაუმტყუნა მათ იმედები გარეშე ძალის რეალური დახმარების შესახებ. როგორც მათი ორატორები პარლამენტში, აგრეთვე მათი გაზეთები აშკარათ ამბობენ—ერთადერთი ხსნა თვით სომხის ხალხის ძალაში, მის თავდაცვის უნარშიაო. ჩვენც ღრმად გვწამს, რომ პირველი და აუცილებელი საშუალება, რომ სომხის ხალხმა თავი დააღწიოს საშინელი საფრთხისაგან, არის თვით მისი ძალების შეკავშირება და დარაზმვა. მაგრამ, ამავე დროს, ყველასათვის აშკარა უნდა იყოს, რომ ნ წლის ბოცვა-ქლეტით, აწიოკებით, შიმშილით და წყურვილით ილაგ-ვაწყვეტილი ხალხი ვერ შესძლებს თავის დაცვას აუარება მტრისაგან. საქმეა და აუცილებელია სხვა გზის გამოხაზვა, სხვა საშუალების პოვნა და ეს საშუალება, ეს გზა არის გზა მეზობლებთან შეთანხმების, კეთილი განწყობილების ჩამოგდების.

უკანასკნელი მწარე გაკვეთილების შემდეგ სომხის ხალხის ხელმძღვანელებს ექვი აღარ უნდა ჰქონდეთ იმაში, რომ პატარა ერისათვის დამღუპელია საგარეო პოლიტიკაში მთელი იმედების მხოლოდ გარეშე ძალის დახმარებაზე დაყრდნობა. საქმეა ამ უტყუარ დებულებას სათანადო დასკვნა გაუკეთოთ და ეს დასკვნა გახადოთ ჩვენი საგარეო პოლიტიკის, ურთიერთობის განწყობილების ღერძად. სომხეთის ერის ხსნა მხოლოდ მეზობელ ერებთან და უპირველესად საქართველოსა და ადერბეიჯანთან შეთანხმებაში და შეკავშირებაშია. მაგრამ ამისათვის საჭიროა, რომ სომხეთის ერის ხელმძღვანელებმა ხელი აიღონ იმ ხალხის დამღუპველ პოლიტიკაზე, რომელსაც ისინი აქამდე და, სამწუხაროთ, ეხლაც აწარმოებენ. დაშნაკლებმა უნდა შეიგნონ, რომ მეზობელ ხალხების ქირიცა და ლხინიც მათი საკუთარი ქირი და ლხინია, როცა ჩრდილოეთით ამიერ-კავკასიის საშინელი საფრთხე მოევიდნა და საქართველო-ადერბეიჯანი საერთო თავდაცვის მზადებას შეუდგენენ, სომხის ხელმძღვანელები განზე გადგენენ, ხელები დაიბანენ და განაცხადებს—ეს ჩვენი არ გვენებაო. ჩვენ ვამტკიცებთ: მაშინ რომ სომხეთის მეთაურებს წინააღმდეგი პოზიცია დაეჭირათ, სომხეთი რომ გვერდში ამოგვდგამოდა, ეხლა გაცილებით უფრო ადვილი იქნებოდა იმ საფრთხის დაკვიდაცია, რომელიც დღეს სომხეთს დაატყდა თავს.

და თუ სომხეთის ხელმძღვანელებმა დღესაც ვერ შეიგნეს, რომ სომხეთის ხსნა უპირველესათ სამი რესპუბლიკის შეთანხმებაში, საერთო ფრონტის შექმნაშია, თუ ამ უკანასკნელ საათში არ აიღეს ხელი ერის გამთავდა განმარტობელ პოლიტიკაზე,—გშინობთ, რომ სომხეთის ეხლანდელ მდგომარეობის გამოსწორება შეუძლებელი გახდება. მაშინ სომხეთის ერის თავისუფლება ოცნებათ იქცევა და ამიერ კავკასიის სხვა ერებმაც დიდი საფრთხე მოეღის.

ჩვეულებრივს ღერძად, რომ ქართული მეწვევიზმი და თათრული „მუსავათი“ ორივე მუსავათია.

ამის „დასამტკიცებლათ“ გაზეთს მოჰყავს შემდეგი საბუთები:

დენიკინის საფრთხე ადერბეიჯან საქართველოსთვის სინამდვილეში არ არსებობს. ეს საფრთხე „მუსავათმა“ და მეწვევიზმა შექმნეს იმ მიზნით, რომ ხალხის ყურადღება მიაპყრონ ჩრდილოეთისაკენ, სამხრეთით კი—გზა გაუხსნან ოსმალეთს.

ადერბეიჯანის მტკავათმა ქართული მეწვევიზმის დახმარებით ჩაახშო თათრის გლეხობაში აგრარული მოძრაობა.

„ქართული მუსავათი“—თვით მეწვევიზმი „აშხატავორის“ თქმით, თავის შინაარსით სულაც არ ჩამორჩენია თათრულ „მუსავათს“. ჩაიგდო ხელში ძალა-უფლება თუ არა, მან აგრეთვე პირველ რიგში ჩაახრჩო ქართველი გლეხობის აგრარული მოძრაობა—დუშეთის და სხვა ოლქებში და არწმუნებდა ყველას, რომ „უამისოთაც“ უნდა მოხდეს მიწების ნაციონალიზაციაო. დღეს მიწების დაკავების ცერემონია დასრულებულია, მაგრამ ამით არც მიწის პატრონია დაზარალბული, არც გლეხია სარგებლობაში. ტყურად კი არ შეადგენს საშიშრო ფონდს ჩვენი მთავრობის ბუჯეტის ყველაზე დიდ მუხლს“.

დაშნაკტუტუნის ქართველი და თათრის გლეხობის დამცველის როლშიაც გამოდის! ტყვილად კი არ მიიქნა ამ პარტიამ ინტერნაციონალური იარაღიკი ამას წინად.

დუშეთის აჯანყება თურმე აგრარულ ნიადაგზე ყოფილა მომხდარიო.

ალბათ, ამიტომ მუშაობდნენ იქ პირწავარდნის „სოციალისტი“ დაშნაკლებნი..

მაგრამ თავი დავენებოთ ყველაფერს და ერთი ვკითხოთ ამ სპორ უპოვარ „სოციალისტებს“: როგორ გადაჭრეს მათ მიწის ან სხვა საკითხები სომხეთში? რატომ არიან აგრე უკიდურესი „სოციალისტები“ და ინტერნაციონალისტები სხვაგან, რომ არ ვსთქვათ სხვის ხარჯზე—და რატომ არ არიან ასეთები საქმით თავიანთ რესპუბლიკაში?

ალბათ, იმიტომ, რომ დაშნაკლებთა აზრით ქართული მეწვევიზმი იგივე „მუსავათია“.

და „რამდენათაც მეწვევიზმმა ორგანობა არ უნდა ეცადონ „შექმან განწყობილება“ დენიკინის წინააღმდეგ, მაინც უარყოფილი დარჩება ერთი ფაქტი: ქართული და თათრული „მუსავათები“ არ არიან განწყობილნი, რომ ებრძოლონ დენიკინს. ამ საბაბით ბაქოში აღძრული განგამის მიზანია, მიიქციოს ჩვენი ყურადღება სხვა მხარეს, დაეხმაროს „მესამეს“—ოსმალეთს...

ალბათ, ამავე მოსაზრებითაა დენიკინის მომხრე დაშნაკტუტუნი?

ანარქიის ტალღები

ჩვენში ხშირათ გავიგნებთ, რომ ანარქიის ხანა განგველეთ, უკვე სამშვიდობოც ვართ გასულნი და ერთგვარ მყუდრო სახელმწიფოებრივ მუშაობას ვაწარმოებთო.

ეს სიმართლე უკვე ვიცავს, მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ჩვენს ერს ეხლან მარგავნთავის უფლებმდებარე მუსავათის ელემენტებისაგან და ანარქისტულ მისწრაფებათაგან, დაუკვირდით ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა მხარეს:

აქ ფართოთ გაუშლია ფრთები ანარქისტულ სულისკვეთებას და იმის შესაფერისათ გაჰყავთ სამოქმედო ხაზი და ღარიო... იშვითადა ნახავთ ჩვენში ისეთ დაწესებულებას,—სახელმწიფო იქნება ის თუ საზოგადოებრივი, რომ შიგ მოსამსახურეთა და ამ დაწესებულებათა გამგე თუ გამგებთაა შორის უთანხმოებას არ ჰქონდეს იდგილი უფლების განაწილების სფეროში.

თფილისის ქალაქის გამგეობისა და საბჭოსაგან, რომელნიც ხალხის მიერ არიან არჩეულნი და, მასასადამე, ხალხის წინაშე არიან პასუხისმგებულნიც, უფლების განაწილებას მოითხოვს მილიციის პროფესიონალური კავ-

პრესა

დაშნაკტუტუნის „აშხატავორი“ (№ 172) ვრცელ წერილში, რომელსაც სათაურად აქვს „ორი მუსავათი“ ერთხელ კიდევ „ამტკიცებს“

კომისიის შემოსავალ-გასავლის დაწვრილებით ანგარიშებით.

პროვინცია

აგრონომიული მუშაობის გარემო.

ბევრჯერ თქმულა და კიდევ ბევრჯერ ითქმება, რომ ჩვენი ქვეყნის მიწა-წყალი და ჰაერი ისეთ კარგ პირობებს წარმოადგენენ, რომ ჩვენში შეიძლება დიდად განვითარდეს მრავალი საუკეთესო დარგი სასოფლო მეურნეობისა; ქვეყნისათვის ხელსაყრელი და სასარგებლო იქნება განვითარდეს და გავრცელდეს მეურნეობის ის დარგები, რომლებიც მეტად ასწვენენ ჩვენს ქვეყანას, ეკონომიურად ხელს შეუწყობენ ჩვენი ცხოვრების გაუმჯობესებას- ამის გამოკვეთვას კი დიდი დაკვირვება და გამოცდილება უნდა და მის გადასაწყვეტათ კოლექტიური მუშაობა არის საჭირო. ჩვენი თავის პატრონები ახლა ჩვენვე ვართ და ეს კიდევ უფრო ზედმეტად გვახალისებს მეტის ბეჯითობით, საქმის დიდის სიჭვავსებით შევუდგეთ ჩვენი ქვეყნის დამუშავებას. აღორძინების ხანა დაგვიდგა და ჩვენი დემოკრატიული მთავრობა მუშაობს მოწოდებას. მცოდნე პირების მოვალეობაა შეუდგენ რეალურ მუშაობას. ჯერ კიდევ ჩვენი აგრონომების ხმა ნაკლებათ ისმის ჩვენს ახალ ცხოვრებაში. რა ამბავია, ცოტანი გვყვანან, თუ ისინიც შედრკენ ამ დამოუკიდებლობის დროს და საკუთარის ძალ-ღონით საქმეს ვერ შეტევენ? ცალ-ცალკე თუ ვასაქირია მუშაობა, ერთიან ძალას ვერაფერი ვერ დაუშვარდება. კავშირია საჭირო. საერთო ძალით, გულწრფელი სიყვარულით სამშობლოს უნდა ვემსახუროთ.

ბ. ბერეკაშვილი

ხანაძის მარჯა. ამ ერთი კვირის წინდ ჩვენს გაზეთში წერილს იყო მოთავსებული ნოქალაქივიდან შესებებ ჩაღვადარი საჯაიას მოკვლისა. მისი გვამი იპოვეს ერთი კვირის ძებნის შემდეგ ს. ახუთის მცხოვრებლებმა და სამშობლო სოფელში წაასვენეს, დაწინაშევები კი სენაკის ციხეში სხედან.

მოსავალს ცუდი პირი უჩანს მუდმივი წვიმების გამო და ამ ბოლო დროს სიცივემაც დაჰკრა და მოსალოდნელია შიმშილობა მთელს აქეთა მხარეში, ბუნების მიერ ასე უნუგეშოთ დატოვებულ კუთხეში დათარღობენ ყაჩაღები და მრავალი შავი ძაღლები და სოფლებს აშინებენ დენიკინის შემოსევით. სასურველია და აუცილებელიც დამფუძნებელი კრების რომელიმე წევრი ჩამოვიდეს და ხალხს აუხსნიდეს დღევანდელ ვითარებას.

X.

თიანეთის მარზის ერობის გამგეობა იწვევს ხმასახურში სახალხო განათლების ინსტრუქტორს, სანიტარულ ექიმს, საერობო ტენიკს (გამოცდილს), საერობო აგრონომს, ბუხვალ ტერს. საჭირო თხოვნა, დოკუმენტები და სხ. უნდა წარმოდგენილ იქნას არა უგვიანეს 30 აგვისტოს დ. თიანეთში ერობის გამგეობაში. თვიური ჯამაგარი 2,100 მ., დღიური მარზაში მოგზაურობის დროს 70 მ. აგრეთვე თიანეთის მარზისათვის საჭიროა სამი მომრიგებელი მოსამართლე. საჭიროა შემდეგი დოკუმენტები: განათლების ცენზი, სამსახურის ფორმულიარი და Curricula vitae. ერობა აძლევს დამატებითი ჯამაგირებს. თხოვნები მიიღება 5 სექტემბრამდე.

ნოღა. (გამოჩინებულს საზოგადოება) 14 აგვისტოს შესდგა ამ სოფლის მცხოვრებთა საზოგადო კრება, რომელზედაც მოხსენება გააკეთა თფილისიდან ჩამოსულმა დამფუძნებელი კრების წევრმა ფილიპე გლ. ლორიაძემ. მან გააცნო დამსწრეთ დამფუძნებელი კრების მუშაობა ამ ხუთი თვის განმავლობაში. აღნიშნა ის პირობები, რომელშია დამფუძნებელი კრებას უხდებოდა მუშაობა, მიუთითა იმ უმთავრეს კანონებზე, რომლებიც მიიღო და დაამტკიცა დამფუძნებელმა კრებამ. გააცნო აგრეთვე ხალხს ჩვენი საზოგადო დელეგაციის მუშაობა პარიზის კონფერენციაზე. შეგხო ჩვენსა და რუსეთის დამოკიდებულებას, როგორც დენიკინებთან, აგრეთვე ბალშევიკურ რუსეთთან. დაუბატა დამსწრეთ მთელი საშინელება იმ სამოქალაქო ომისა, რაც დღეს რუსეთში ხდება და მოუწოდა ხალხს არ აყენენ იმ ავანტიურის ტებს, რომლებიც მოტყუებით და ლამაზი სიტყვებით ცდილობენ ხალხის შეცდომაში შეყვანას. მოხსენების შემდეგ დაიწყო შეკითხვები ათასგვარ საქარბოროტო კითხვებზე, მაგალითად გადასახადებზე. სურსათ-სანოვანისა და განსაკუთრებით ფართულულობის სიმცირეზე, არც-თამბაქოზე აქციზის შემოღებაზე, მიწის ერთ დროულ გადასახადებზე. ეს უკანასკნელი ყველაზე უფრო აღელვებს ხალხს, რადგანაც ამ წიადაგზე კარგით უსარგებლოთ ბატონ ბალშევიკებს

სოფლათ და ხაჭმარხათ მოუწამლავთ ხალხის გონება, ყველა შეკითხვებზე დამაკმაყოფილებელი და გარკვეული პასუხი გაცა მომხსენებელმა. უჩვენა და წაუკითხა ყველა იმ კანონების მუხლები, სადაც გადასახადებზე, აქციზზე და მიწის ერთ დროულ დაბეგრებაზე ლაპარაკი. ამ ახსნა-განმარტების შემდეგ ხალხი ძლიერ კმაყოფილი დარჩა.

„ხაყორნიელი“

ფრონსისთვის

გ ა ნ ა ძ ა .

ბანძის საზოგადოება დიდს უპრობდებით შეეგება ამ დღეს. რამოდენიმე დღის წინეთ აქ შესდგა დღის მომწყობი კომისია, რომელშიაც არჩეულ იქნენ: ექიმი იასონ ჟორდანიანი, გრიშა ფალავა, ტერენტი ხურცილავა, დავით აჯააშვილი და სილიბისტრო კერძაია. კომისიამ შეიმუშავა სადღესასწაულო გეგმა. დღესასწაულის პირველი დღე ჩატარდა ჩვეულებრივით. მეორე დღემ—20 ივლისმა დილითვე მიიღო სადღესასწაულო ხასიათი, ყოველგან ფრიალებდა ეროვნული დროშები და ქუჩები სავსე იყო ხალხით. მიუხედავად წინა დღის ცუდ ამინდისა, მრავალრიცხოვანმა ხალხმა მოიყარა თავი, მათ, კომისიის თავმჯდომარე ექ. ჟორდანიანს გააცნო ფრონტის დღის მნიშვნელობა. ამის შემდეგ გაიმართა შემოწირულების მოკროვება, ყველა აღტაცებით იღებდა წვლილს ჩვენი სასიქალო ჯარისა და გვარდიისათვის. ამ დროს სადღესასწაულო მორთულ ავტომობილებზე, მარბიდან გვეწვივნენ, სამაზრო ფრონტის დღის მომწყობი კომისიის წევრნი მუსიკით. მათ ჩამოსვლამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ხალხზე.

სალამოს კომისიის ინიციატივით თეატრის დარბაზში, გაიმართა წარმოდგენა, რომლის შემოსავალი სავსებით გადაიღო ფრონტისათვის.

ანგარიშიდან გამოირკვა შემდეგი: ყულაბებით 4,246 მან. 45 კაპ., ფურცლებზე ხელის მოწერით ადგილობრივი შეძლებული ვაჭრებისაგან 9,475 მან., სხვადასხვა პირებისაგან 1,429 მან., წარმოდგენიდან 1329 მან. 50 კ., და უნებებიდან 4871 მან. 85 კ., სულ 21,291 მან. 30 კ., დახარჯულია 561 მან. 30 კაპ., დარჩა წმინდა შემოსავალი 26,730 მან. ეს ფულები უკვე გადაგზავნა ფრონტის დღის მომწყობ მთავარ კომიტეტს თფილისში. მომწყობი კომისია უღრმეს მადლობას უცხადებს ბანძის საზოგადოებას ფრონტის დღის ბრწყინვალე დღესასწაულში მხურვალე მონაწილეობის მიღებისა და უხვი შემოწირულებებისათვის. მასთან კომისია მადლობას უძღვნის ყველა მათ, ვინც დახმარება აღმოუჩინა დღესასწაულის ასე ბრწყინვალეთ ჩატარებაში.

ამას წინათ ფრონტზე მყოფ გვარდიელთა სასარგებლოთ ქ. ოზურგეთში გაიმართა საღამო სეირნობა, რომლის წმინდა შემოსავალი 11190 მ. საღამოს მომწყობმა კომისიამ გადმოსცა სახალხო გვარდიის გურიის სამაზრო შტაბს. აღნიშნული თანხის ნაწილით შეძენილ იქნა საჩუქრები ფრონტზე მყოფ გვარდიელთათვის, ხოლო მეორე ნაწილი ინახება შტაბში და ხმარდება ღარიბ გვარდიელთა ოჯახებს. შტაბი უღრმეს მადლობას უძღვნის საღამოს მომწყობ კომისიის წევრებს ყველა მათ, ვინც პირადი მონაწილეობის მიღებით თუ წვლილის გაღებით ხელი შეუწყო აღნიშნული საღამოს მოწყობას.

მოქ. შალვა ღლონტმა ბათუმელ ნაცრობ მგვობრებ შორის შეკრიბა და გადმოსცა სახალხო გვარდიის გურიის სამაზრო შტაბს 7804 მან., რომელიც ხმარდება გვარდიელთა უმუშა-ხელოთ დარჩენილ ოჯახებს. შტაბი უღრმეს მადლობას უძღვნის მოქ. შალვა ღლონტს და ყველა იმთ, ვინც ამ დიადი მიზნისათვის გაიღო თავისი წვლილი *).

შტაბის წევრი ჭყონია.

ჩვენი ფოსტა

აკეთი. ამა. ივლიანე ჰანტურიშვილს. თქვენი წერილი „სახალხო საქმის“ კორესპონდენტის ბ. კვესის საპასუხოდ არ დიბეჭდება. უნაყოფო დროის და ადგილის დაკარგვად მიგვარჩია „სახალხოს“ ზოგიერთ მწერლებთან კამათი. რაც შეეხება თქვენი პასუხის არსებით მხარეს, ამის შესახებ ჩვენ უკვე გვქონდა მოთავსებული აქრობისა * № 164 დადგენილება ისეთი კომპეტეტური დაწესებულებებისა, როგორიცაა აკეთის რაიონის ს. დ. პარტიის წევრთა საერთო ყრილობა. რაიონული ყრილობა პროტესტს აცხადებს იმ წერილის გაკრებაზე.

* შემოწირველთა სია უაღვიჯობის გამო ვერ იბეჭდება.

მო, რომელიც მოთავსებულია „სახალხო საქმის“ № 541 ში და რომელიც აგებულია სრულ სიყალბეზე“.

განცხადებანი

ვაჭრობა-მრეწვე. სამ. უწყ. მყოფი **საბუკალსტარო კურსები** ნ. ვ. აბრამიანი ს. ა. (არსებობს 1898 წ.)

4 თვიანი კურსი. მიღება ყოველ დღე. მეცადინეობა იწყება 20 სექტემბრიდან. ნიკოლოზის ქ. № 22. (3-2)

იყილვაბა

მქვს ოთახიანი ს ა ხ ლ ი

მისამართი: მე-8 კომუნარიატი, არსენალის ქუჩა, არხიზოვის შესახ., საყდრის ახლოს № 4. მეპატრონე იოსებ გრიგოლის ძე ოქროვეი.

ცეკვის კურსები

ი. ბ. როსტომიძისა. სპეციალურად კავკასიური ცეკვა. აგრეთვე საბალეტო დამახასიათებელი და ევროპული. ნაყოფიერი სწავლებისათვის აძლევს პირობას. მიღება ყოველ დღე დღის 10 საათ. საღამოს 9 საათამდე. ნიკოლოზის ქ. № 101. (5-1)

ბრინჯი

8 მანეთი გირვანქა, ფუთი 300 მანეთი.

ქიუმი

12 მანეთი გირვანქა, ფუთი 460 მან. იუდეა ლგოტაის მდარსიაში, ოლას ქუჩა, სახლი № 3.

ქირის ქარხანა

ქ. ქუთაისში დაიწყო წარმოება; მიიღება დაკვეთა ვაგონებით და წვრილათ. საკირს ტელეფონი № 172.

ქალაქის კანტ. ტელეფ. № 74. (5-4) პატივისც. გრ. ჩარეკოვი.

ლოქტორი მ. გოლუხიძე

ყოფილი ასისტენტი ბარონ როტშვილის მთავარი გოსპიტალისა და ენევის უნივერსიტეტის კლინიკისა. თვალის ავადმყოფობანი. ამორჩევა საბავლეებისა. მიღება 8-12 საათამდე და 4-7 საათამდე ნიკოლოზის ქუჩა, № 32.

ექიმი მ. ვ. გალოგალიძე

ქალისა და სადონტაქტო ავადმყოფების მიღება ყოველ დღე საღ. 5-7 საათ. ოლას ქ. № 41, ტელ. 12-75.

ექიმი გ. მ. მუხაძე

თფილისიდან გამგზავრა და 1 ნკენისთვემდის ავადმყოფების მიღება შესწყვიტა. (5-4)

ქალაქის ფრონის გირქის სახალხო პინო-თეატრი

გირჩას 24 აგვისტოს (მალათოვის ქუჩა) კვირას 24 აგვისტოს

დიდი საბავურო დღესასწაული

ი. მ. სუნდუკიანცის ხელმძღვანელობით (ეგვავ, საკონცერტო განყოფ. თამაშობა, სურათები სს.დასს. ფერი უფექტებით საბავურო სინემატოგრაფი შემდეგი პროგრამით: სამეცნიერო, სანახავი და კომიკური. დასაწყისი საღამოს 5 ნახ. საათზე. შესასვლელი ფასი. ბავუებისთვის 3 მანეთი.

სალამოს პირანა „ნელლი ჩანსეკა“

ნაწილად ბარანტევიჩის გონაწილეობით დასასრულ სანახავი და კომიკური. დასაწყისი საღამოს 9 საათზე.

ქალ-ვაჟთა 8 კლასიანი გიმნაზია

ი. მ. კ ა ხ ა ი ძ ა . (ჩერქეზიშვილის ქუჩა, № 22, შენობა ყოფილ სას. სასწავლებლისა) მისათვის გამოცდები 1, 2, 3, 4, 5, 6, 7 და 8 კლასებში დანიშნულია ყოველ ორშაბათობით 20 სექტემბრამდე. მოსამზადებელ კლასებში ყმაწვილები მიიღებიან გამოუცდელად. მოზრდილთათვის მეცადინეობა საღამოობით. თხოვნების მიღება 9-3 ს.

ილისბედის ქუჩაზე სახლში № 157. განისწავლიდები

პარკო საბუკალსტარო

ავადმყოფები მიიღება დილის 8 საათიდან საღამოს 5 საათამდე. (7-20)

ბ. ბ. შაჰარანი

სპეციალურად სიფილისის და მისი შედეგები (შეშაპუნება „606“ და „914“) ვენერიული (ტრიპერი) და საზარდვ ორგანოების სნეულებანი. ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დღის 8-11 და საღამოს 5-8 საათამდე. კვირაობით მხოლოდ დილით. მისამ: ოლას ქუჩა № 33.

ექიმი მ. ლ. ტუჩკოვი

მელიციის დოქტორი მიუნხენის უნივერსიტეტისა იღებს შინაგან, საბებო და ქალურ სნეულ. ოთხშაბათობით და შაბათობით დღე. 10-11 საათ. დანარჩენ დღეებს დღის 12-2 ს. ნიკოლოზის ქუჩა № 7 სიმხოვიჩის აფთიაქის გვერდით. ტელეფონი 14-13.

ექიმი ბ. ლ. კამბლია

სიფილისის და ვენერიული სნეულებანი. შეშაპუნება „606“ და „914“ მიღება დილით 9-11, საღამოთი 4-6 ს. მიხეილის პარკს. სასტუმრო „ნოვ“-ს პირდაპირ № 116. ტელ. 14-28.

ექიმი ნიკოლოზ მანანაძე

იღებს სპეციალურად—შალხარიით (ციტბლა მისი შედეგებით დასნეულბულთ) სისხლის ნაკლებობით, გულისა, ფილტვისა, ქარებით და სხვა შინაგან სნეულბებით ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოთი 4-6 საათამდე. ელექტრონიკა. მისამართი: მოსკოვის ქ. № 11, ხემელის აფთიაქის ახლო.

მელიციის დოქტორი ბერლინის უნივერსიტეტისა მ. მ. მანანაძე

შინაგანი ავადმყოფობა, ქლეტისა და გულისა, იღებს ახალ რენტგენის-ელექტრო წამლობის კაბინეტში; ხასინჯვა და წამლობა Xს-სხივებით, დიდი სალუნიოდი და არჩევლი, ტოკით ფილტვების, გულის და სხვა შინაგანი ავადმყოფობისათვის, ღარიბებს უფასოთ ყოველ დღე დღის 9-1 საათამდე და საღ. მოს 5-8 ს. ბებუთოვის ქ. № 23, ტელ. 7-92.

საექიმო კაბინეტი

ექიმი მ. თ. ტაყაიანი იღებს სპეციალურად ავადმყოფობას საზარდვ და სასქესო ორგანოთა (606 და 914-ით წამლობა) მიხილოვის საავათმყოფოსთან, ფოსტის ახლოს მიხილოვის (№ 55) დაბეღიის (№ 1) ქუჩების კუთხე 5-7 ნახ. საათ.

ექიმი ქალი მ. შიშოლა-საბაშვილი

მელიციის დოქტორი ენევის უნივერსიტეტისა და ედინბურგის მედიკურ ქირურგიულ კოლეჯისა. თფილისიდან წასვლის გამო ავადმყოფთა მიღება შეწყვეტილია 20 აგვისტომდე.

ექიმი მ. მ. ჯაშარამი

ღებულბ შინაგან, ყურის, ყელის და ცხვირის სნეულბობით ავადმყოფებს დღის 12-1 ნახ. საათ. საღამოს 5-6 საათ. მისამართი: მალათოვის ქუჩა. № 7. ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ, ტელეფონი 16-65.